გამომცემი: ა(ა)იპ „ქართული მედია ჯგუფი“, კატო მიქელაძის გაზეთის მიხედვით

ხმა ქართველი ქალისა

21 ივლისი, 2023 წელი. გაზეთი ვრცელდება უფასოდ

№5 გაზეთი გამოდის თვეში ერთხელ

ევროკავშირის მხარდაჭერით გამართულ შეხვედრაზე არასამთავრობო ორგანიზაციებს, გაზეთი „ხმა ქართველი ქალისა“ დაურიგდათ

„სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციის საკითხების ადვოკატირებისთვის“ – ეს იყო ტრენინგის თემა, რომელსაც საქართველოს 9 რეგიონიდან 20-მდე უფლებადამცველი ესწრებოდა.

ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციაზე მომუშავე სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებთან შეხვედრა მიზნად ისახავდა, რეგიონული არასამთავრობო ორგანიზაციების გაძლიერებას ადგილობრივ თვითმართველობებთან ადვოკატრების კუთხით, ასევე იმ საჭიროებების გამოკვეთას, რაც ადგილობრივ დონეზე ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებთან მიმართებით არსებობს.

ტრენინგი GCRT-ის და Sapari-ს ორგანიზებით ჩატარდა, რომელსაც ლელა ცისკარიშვილი და ბაია პატარაია უძღვებოდნენ.

ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი პროექტის ფარგლებში გამართულ შეხვედრას „ქართული მედია ჯგუფის“ ხელმძღვანელი, ნინო ჩიბჩიურიც დაესწრო, რომელმაც საზოგადოებას, გაზეთი „ხმა ქართველი ქალისა“ წარუდგინა და რეგიონში ორგანიზაციის მუშაობის მიმართულებები გააცნო.

საოკუპაციო ხაზთან მცხოვრებ ქალებს სამედიცინო მომსახურებას უფასოდ გაუწევენ

22 ივლისს, 12:00-დან 16:00 საათამდე, ერგნეთის და მიმდებარე სოფლების მაცხოვრებლებს, სამედიცინო მომსახურების მიღება უფასოდ შეეძლებათ. სამედიცინო აქცია ერგნეთ-მამისაანთუბნის საჯარო სკოლის შენობაში გაიმართება. მოსახლეობა ისარგებლებს შემდეგი უფასო სამედიცინო სერვისებით:

- ოჯახის ექიმის კონსულტაცია – ყველა ასაკის პირებისთვის, საჭიროებისამებრ დაინიშნება სწორი მკურნალობა.
- ექიმ გინეკოლოგის კონსულტაცია-მოზარდი გოგონებისთვის; ფერტილური ასაკის ქალებისთვის; ორსულებისთვის; მენოპაუზის პერიოდში მყოფილ ქალებითვის.
- ექიმ ექოსკოპისტი-ულტრაბგერითი კვლვები მოზარდი გოგონებისთვის;ფერტილური ასაკის ქალებისთვის, ორსულებისთის, მენოპაუზის პერიოდში მყოფიქალებისთვის.
- ფსიქოლოგის კონსულტაცია-ყველა ასაკის პირებისთვის.

„ასოციაცია „HERA XXI“ მადლობას უხდის გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტირძნისის ტერიტორიული ერთეულის ხელმძღვანელობას და საჯარო სკოლის ადმინისტრაციას აქციის ხელშეწყობისთვის. საქართველოს არასამთავრობო ორგანიზიაცია ასოციაცია „HERA XXI“ 1998 წლიდან აქტიურად მოღვაწეობს რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების სფეროში. ასოციაცია მხარს უჭერს რეპროდუქციული ჯანმრთელობის და ჯანსაღი ცხობრების შესახებ ინფორმაციის, ყოვლისომცველი განათლებისა და ხარისხიანი სერვისების მიწოდებას, მოსახლეობის ყველაზე დაუცველი და მოწყვლადი ჯგუფებისთვის“, – წერია ორგანიზატორთა მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

სამედიცინო აქცია ეწყობა საქართველოს არასამთავროო ორგანიზაცია ასოციაცია „HERA XXI“-ის ინიციატივით, ზურაბ საბახტარაშვილის რეპროდუქციული კლინიკის ჩართულობით და მედია სააგენტო „NEO TV“-ს თანამშრომლობით.

ნინო ჩიბჩიური

ხაშურში „ქალთა ოთახი“ იხსნება – რას ითვალისწინებს ახალი სერვისი?

ხაშურში „ქალთა ოთახი“ იხსნება. ის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, მუნიციპალიტეტის მერიას დაექვემდებარება და ერთგვარი საინფორმაციო-საკონსულტაციო რესურსცენტრი იქნება. ხაშურის საკრებულოს თავმჯდომარის, ნინო ლიპარტელიანის ინფორმაციით ამ გადაწყვეტილების მიზანია ადგილობრივი მოსახლეობის, განსაკუთრებით კი ქალების დახმარება, მუნიციპალიტეტთან ურთიერთობაში.

„ქალთა ოთახი გაზრდის და წაახალისებს ქალების და მამაკაცების თანაბარ მონაწილეობას ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში (საკრებულოს და მერიის სხდომებზე, ასევე დასახლების საერთო კრებებში მონაწილეობა და ა.შ.)“, – აღნიშნა მან.

„ქალთა ოთახის“ საშუალებით ადგილობრივი ხელისუფლება საკუთარ მოსახლეობას (განსაკუთრებით, ქალებს და გოგონებს) დამატებით საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურებას, ასევე თავისუფალ, ღია სივრცეს შესთავაზებს დასვენებისა და სოციალურ-ეკონომიკური აქტივობისთვის.

ქალებს ამ სივრცეში შეეძლებათ შეხვედრების ჩატარება, ინიციატივების გაჟღერება, ექნებათ საშუალება ისარგებლონ „ქალთა ოთახის“ სერვისებით და მიიღონ კონსულტაცია მათთვის საჭირო საკითხებზე.

ხაშურის საკრებულოს თავმჯდომარის, ნინო ლიპარტელიანის განცხადებით, „ქალთა ოთახი“ პარლამენტის წევრის, ნინო წილოსანის ინიციატივით, უკვე ფუნქციონირებს საქართველოს რამდენიმე ქალაქში, მისი გახსნა შიდა ქართლის სხვა მუნიციპალიტეტებშიც იგეგმება.

შორენა ბიჭიკაშვილი

ქალი სასწრაფო დახმარების სამსახურიდან, რომელიც გორში, 2008 წელს პროფესიულ მოვალეობას დაბომბვებში ასრულებდა

„გორი რომ პირველად დაიბომბა, სახლში ახალი მისული ვიყავი, მაშინვე სამსახურში დავბრუნდი და შემდეგ, ერთი წუთით აღარ დამიტოვებია იქაურობა“, – დალი ვანიშვილი გორის სასწრაფო სამედიცინო დახმარების შენობის დაბომბვას იხსენებს.

ამბობს, რომ მოსალოდნელ საფრთხეზე არც უფიქრია, ისე დატოვა ოჯახი და იქ მივიდა, სადაც 45 წელი გაატარა:

„ჩვენ სულ ასე ვართ, არასდროს ველოდებით, როდის დაგვირეკავენ, როცა ვხვდებით რომ საჭირო ვართ, ჩვენით მივდივართ. შევდიოდით ცხელ ზონებში და იქიდან გამოგვყავდა ავადმყოფები... არ ვფირობდით მაშინ ჩვენ სიცოცხლეზე, ცხელ წერტილებში როცა მივდიოდით, შეიძლებოდა ჩვენც ავფეთქებულიყავით.

ყველაზე რთული გასახსენებელი 9 და 12 აგვისტოა. ამ დროს განსაკუთრებით დიდი იყო დაჭრილთა რაოდენობა დაბომბვების შედეგად. სასწრაფოს შენობაც დაიბომბა და ექსტრემალურ სიტუაციაში ქალაქის საავადმყოფოს შენობაში გავაგრძელეთ მუშაობა. გორის ცენტრში 3 გვამი იყო როცა გამოგვიძახეს და მივედით, მათ შორის ერთი უცხოელი ვიდეო ოპერატორი. დაჭრილები გადაგვყავდა ჰოსპიტალშიც და ქალაქის საავადმყოფოშიც, ახლანდელი „გორმედის“ შენობაში. იმ პერიოდში კოლეგა ჩვენც დავკარგეთ. ის პროფესიული მოვალეობის დროს გარდაიცვალა. რამდენი ხანიც არ უნდა გავიდეს და აქედანაც რომ წავალ, ყოველთვის მემახსოვრება ჩვენი სასწრაფო დახმარების სამსახურის თანამშრომელთა გმირობა 2008 წლის აგვისტოს ომში“, – ამბობს დალი ვანიშვილი.

მისი ყოველი სამუშაო დღე ბრძოლაა – სიცოცხლის გადასარჩენად და მაინც, ორ ომგამოვლილს, სჯერა, რომ მშვიდობით მოვიგებთ ომს!

ნინო ჩიბჩიური

„აგვისტოს ომში შვილი დავკარგე, ამ დრომდე უშედეგოდ ვითხოვ, რომ სოფლის სკოლას მისი სახელი მიენიჭოს“

ჩემი შვილი გელა თიგიშვილი ვაზიანის სამხედრო ბაზაზე მსახურობდა, თუმცა მანამდე სამხედრო პოლიციის თანამშრომელი იყო. აფხაზეთის ომშიც მონაწილეობდა. როდესაც აფხაზეთში წავიდა მეუღლე ფეხმძიმედ ჰყავდა. ჩუმად წავიდა, იცოდა ვინერვიულებდი და არ გამაფრთხილა, არც დაურეკავს. მხოლოდ მაშინ გავიგე, როდესაც შინ დაბრუნდა.

ამის შემდეგ იყო კოსოვო, სამშვიდობო მისიით გელა იქ შვიდი თვე იმყოფებოდა.

კოსოვოდან უვნებელი დაბრუნდა და ცხინვალში წასვლა გადაწყვიტა, ამ დროს კი ომი დაიწყო. 2008 წლის 5 აგვისტოს შემდეგ ჩემი შვილი აღარ მინახავს. 7 აგვისტოს დილით დამირეკა და მითხრა დედა ცხინვალში მივდივარ, მაგრამ ჯერ გორში ვარო. ვკითხე, რატომ მიდიოდა და თქვა, რომ მალე დაბრუნდებოდა. მეორედ საღამოსაც დამირეკა და გამაფრთხილა ტელეფონს ვთიშავ და აღარ დამირეკოო, მე კი მის მერე ვრეკავდი...მაგრამ ამაოდ... ჩემი შვილის ხმა აღარ გამიგია. არცერთი შვილი არ მყავდა სახლში. ერთი ახალგორში იყო, მეორე გორში დაბომბვის დროს დაჭრილებს ეხმარებოდა. ერთი თვე ჩემი შვილები არ მინახავს, მარტო ვიყავი რუსებით გარშემორტყმულ სოფელში.

აგვისტოს ბოლოს წამიყვანეს სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროში დნმ-ს ანალიზის გასაკეთებლად, მაშინ კი ყველაფერს მივხვდი. ანალიზი მაშინ უარყოფითი იყო. დადებითი პასუხი ანალიზმა განმეორებით ცდაზე აჩვენა. 2012 წლის 4 აგვისტოს მომიყვანეს ჩემი შვილი დაღუპული, თუმცა ისე დავიტირე, რომ მისი ცხედარი თვალით არ მინახავს. ხანდახან ვფიქრობ იყო თუ არა ის ნამდვილად ჩემი გელა.

ამდენი უბედურების შემდეგ მინდა ჩემი შვილის სახელმა იცოცხლოს. 2012 წლიდან სკოლის დირექტორს ვთხოვ, რომ გელას სახელი მიენიჭოს სოფლის სკოლას, თუმცა უშედეგოდ. რატომ უნდა დაიკარგოს ჩემი შვილის სახელი ასე, ის ხომ გმირი იყო და სამშობლოს დასაცავად თავი გაწირა.. მინდა რომ მისმა შთამომავლობამ იცოდეს ვინ იყო ჩემი შვილი. ყურადღება არავის მოუქცევია. განცხადებაც დავწერე განათლების სამინისტროში, თუმცა დირექტორისგან ამაზეც საყვედური მივიღე. ხელმოწერებიც შევაგროვე და სოფელში ყველას სურვილია გელას სახელი მიენიჭოს კოდისწყაროს სკოლას. მას მერე ვიბრძვი, გმირთა სასაფლაოზე ვიყავი და მინისტრს შევხვდი, ვუთხარი ჩემი ინიციატივა და მითხრა, რომ ყველაფერი კარგად იქნებაო. მერე პრემიერ-მინისტრს მივწერე წერილი თხოვნით. ჯერ ჩემი მცდელობები უშედეგოა. ბოლომდე ვიბრძოლებ, არ მინდა ისე მოვკვდე, რომ ეს ოცნება არ ავიხდინო. ჩემი შვილი იყო იმის ღირსი, რომ მისი სახელი თაობებს დარჩეს...

ქეთევან ნიკოლიშვილი-თიგიშვილი
კასპის მუნიციპალიტეტის
სოფელი კოდისწყარო

„ცრემლის გარეშე შვილს დაბადების დღეს ვერ ვულოცავ, რადგან მან პირველმა დაამარცხა კრემლის ბოროტება 2008 წლის 7 აგვისტოს, თავისი სიცოცხლით“

რუსების ომი ალბად პირველი ქეთიმ დაამარცხა თავისი დაბადებით, ჯერ ისედაც სროლებში ვიყავით და თან ამ დროს შემეძინა მეხუთე შვილი, რომლის მოფერებაც ვერ გავიგე ომის დღეებში, იმიტომ რომ გაქცევაზე და გადარჩენაზე გვქონდა ორიენტირება გაკეთებული. გადაგვერჩინა ბავშვები და გადაგვერჩინა საკუთარი თავი, ოჯახის წევრები.

7 აგვისტოს ღამე, 12-ს აკლდა ზუსტად 15 წუთი რომ მეყოლა ქეთევანი და არ ვიცი რა გადავიტანე იმ დროს. მე ვიყავი გამოკეტილი სამშობიაროს კედლებში ორი ბავშვი დედასთან მყავდა გორში და ორი პატარა დედამთილთან და მამამთილთან ერთად ტირძნისში გავიყვანეთ, ვითომ სამშვიდობოს. მძიმე სიტუაციაში იყო თვითონ ტირძნისიც. სატანკოში რომ ბომბები ჩამოყარეს, დავინახე როგორ იშლებოდა ყვავილივით კვამლი. ეს ამხელა მინები რომ წამოვიდა მსხვრევით, ყველაფერი გადამეკეტა, ვერ ვაზროვნებდი, მარტო ბავშვს მოვკიდე ხელი და გავრბოდი დაბლა. დეფორმაციამ გაჭედა,თუ ჩვენ აღარ გვქონდა ძალა, რომ კარები გაგვეღო და ერთი, რაც მომაფიქრდა, დავინახე რომ დედაჩემი და ჩემი გოგო მოდიოდნენ გავაღე ფანჯარა და გადმოვხტი ბავშვით ხელში.

აბსოლუტურად არაფერი არ მტკენია თუ ვერ ვიგრძენი არ ვიცი, წავედით თბილისში. რუსები რომ გავიდნენ, მაშინ დავბრუნდით სოფელში. თავში მიტრიალებდა ებრაელების წყევლა „შენს კიბეზე ვნახე ბალახი გადავლილიო“ და ძალიან მეშინოდა ბავშვობიდან ამ წყევლის. სულ ვიძახდი,ნეტა კიბეზე და ეზოში ბალახი არ იყოსთქო ვფიქრობდი, მაგრამ რომ შემოვედი უკვე წარმოვიდგინე, რანაირი იქნებოდა ჯოჯოხეთი. აი ის იყო ჯოჯოხეთი, სადაც შემოვედი.ჩამოკონწიალებული ჟესტები სახურავების და თუ ნიავი იყო,ეს რომ მიეჯახუნებოდა დანგრეულ კედლებს, ჰქონდა საშინელი ხმა. სანამ ცოცხალი ვარ ალბათ არ დამავიწყდება. თან რომ გეუბნებიან შუაში არ იაროო, გაფრთხილებს პოლიცია, შეიძლება სნაიპერი გიყურებდეს და... როგორია? და მაინც მოდიხარ, იმიტომ რომ გინდა შემოხვიდე.

შემოვედით და ერთადერთი, რაც ამ ნანგრევებში გადარჩა ჩემი პიანინო იყო, ბავშვობის დროინდელი, რომელიც სამი თვის ვიყავი მამამ რომ მიყიდა. ძალიან ძველი პიანინოა, ხეა მასიური და ეტყობა ვერ მოერივნენ, რომ გაეტანათ და ფეხი მოსტეხეს,ფეხით ჩარეგვეს სიმები. წიგნები მქონდა ძალიან ბევრი და შუაზე იყო დახლეჩილი და რუსული წიგნებიდან, რაც ვიზუალურად ლამაზი იყო, ეგენი წაიღეს. ქეთი მართლა ომის ტოლია დაბადების დღე რომ მოსდის, მოგონებებთან ერთად ჯერ ალბათ, უნდა ვიტირო და მერე ვულოცავ. იმდენად მაქვს შიში გამჯდარი, რომ თითქოს იმ მილოცვის მეშინია. მთელი ცხოვრება ვიამაყებ, რომ პირველი ქეთიმ თქვა უარი სიკვდილზე და დაამარცხა რუსეთის ომი, დაამარცხა თავისი დაბადებით და სიცოცხლით.

მაგული ოქროპირიძე
სოფელი ერგნეთი

15 წელი დევნილობაში – რა შეიცვალა 2008 წლის შემდეგ ომგამოვლილი ქალების ცხოვრებაში?

41 წლის ვარ და უკვე 15 წელია – დევნილი მქვია. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ხურვალეთის დევნილთა დასახლებაში ვცხოვრობ. დავოჯახდი, მაგრამ ჩემი პირადი ცხოვრება არ წარიმართა კარგად. ახლა ჩემს შვილთან ერთად ვცხოვრობ. წლების მატებასთან ერთად ცხოვრებას სხვანაირად ვუყურებ, ახლა მეტი საზრუნავიც მაქვს თუმცა, უკეთესობა არის ის, რომ ოჯახის სხვა წევრები გაიზარდნენ და ისინი უკვე ოჯახში შემომტანები არიან. მატერიალურად მეხმარებიან და საკუთარ თავსაც ირჩენენ.

თავდაპირველად ძალიან გაგვიჭირდა. დევნილობის პირველ წლებში არც ჭურჭელი გვქონდა, არც ლოგინი და არც სხვა საყოფაცხოვრებო ნივთები. ახლა კი ამ მხრივ უკეთესი მდგომარეობა გვაქვს. დევნილთა ნაწილი სხვადასხვა საქმით დაკავდა. განათლება მიიღეს და ყველაფერი შეიძინეს. ზოგმა ბიზნესიც წამოიწყო. მათ გაეზარდათ თვითშეფასება წლების შემდეგ და მიხვდნენ, რომ შეუძლიათ მეტი გააკეთონ და განვითარდნენ. შეიცვალა ქალების მდგომარეობაც. მათ იციან საკუთარი უფლებების შესახებ და ამოიღეს ხმა ძალადობის წინააღმდეგ. მათ შორის ვარ მეც. ყოველთვის ვფიქრობდი, რომ ძალადობის მსხვერპლი არასოდეს ვიქნებოდი, თუმცა ამ რეალობის წინაშე დავდექი, გამიჭირდა თუმცა ვიბრძოლე, ხმა ამოვიღე და ჩემს თავს ვუშველე. მე უკვე აღარ მეშინია, ყოველთვის ვიბრძოლებ ძალადობის წინააღმდეგ, რადგან სწორედ ჩემზე განხორციელებულმა ძალადობამ შეიწირა ჩემი ჯანმრთელობა და ოჯახის წევრების სიცოცხლეც. თუმცა სამწუხაროა, რომ ჩემს გარშემო კიდევ მრავლადაა მსგავსი ფაქტები, და ისევ არიან ქალები, რომლებიც ამ საკითხზე დუმილს ამჯობინებენ და უსიტყვოდ ითმენენ სხვადასხვა ფორმით ჩაგვრას.

ბევრჯერ ჩავრეულვარ, თუმცა ისევ მათშია პრობლემა და არ უნდათ ამ სიტუაციას თავი დააღწიონ. შესაძლოა ეს გამოიწვია გარკვეულწილად დევნილობამაც და მიყენებულმა სტრესმა, რომ კაცები გახდნენ მოძალადეები, თუმცა ჩემი მეუღლე არ ყოფილა დევნილი და ძალადობდა ჩემზე.

ჩვენთან მუდმივად მუშაობდნენ ფსიქოლოგები, როგორც ქალებთან ისე ბავშვებთან, თუმცა, შემდეგ მოქალაქეები აღარ აქტიურობდნენ და თვითონაც აღარ იყვნენ ჩართულები, რომ მიეღოთ ფსიქოლოგის მომსახურება.

ასევე იყო ბევრი პროექტი, სადაც შეეძლოთ ჩართვა, თუმცა არ დაინტერესდნენ. დევნილთა ნაწილს არ სურს თავისი ცხოვრება შეცვალოს და ამ რეალობას არიან შეგუებულები. ქალების ნაწილს ქმარი არ აძლევდა უფლებას, ზოგს დედამთილი, ნაწილი კი თავად არ იყო დაინტერესებული რომელიმე აქტივობაში მიეღო მონაწილეობა, რაც ძალიან სამწუხაროა. ვფიქრობ, საჭიროა მათი მეტად დატრენინგება და საზოგადოებაში ინტეგრაცია. მათი ცნობიერების ამაღლება აუცილებელია, რომ იბრძოლონ საკუთარი უფლებებისთვის.

იზა ოროპირიძე
ხურვალეთის დევნილთა დასახლება

ქალთა უფლებების დაკნინებას, ძალადობის ფაქტებზე არასათანადო რეაგირება იწვევს

დღეს საქართველოში და არა მხოლოდ აქ, ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობა ერთ-ერთ აქტუალურ თემას წარმოადგენს. ძალადობას ძველი დროიდან მოყოლებული არაერთი ქალი აქტივისტი ებრძოდა, ეს ბრძოლა დღესაც გრძელდება. მიუხედავად იმისა, რომ დღეს ეს პრობლემა ძველ დროსთან შედარებით შემცირებულია, მაინც არსებობს ჯგუფები, სადაც ქალებს საკუთარი ადგილის დასაკავებლად ჯერ კიდევ დიდი ბრძოლა უწევთ. საკუთარი ადგილისა და უფლებების დამკვიდრებისთვის ქალები როგორც უკვე ვთქვით, ძველი დროიდან იბრძვიან.

ერთ-ერთი მათგანი ცნობილი მწერალის, უილიამ შექსპირის და, ჯუდით შექსპირი იყო. რა მოხდებოდა ჯუდით შექსპირი რომ ისეთივე ნიჭიერი ყოფილიყო როგორც მისი ძმა? რა თქმა უნდა მას საზოგადოება არ მიიღებდა, მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ის ქალი იყო და მის „მოვალეობად“ მხოლოდ ოჯახისა და ბავშვების მოვლა-აღზრდა მიიჩნეოდა. სამწუხაროდ, ჯუდითის სიცოცხლე მალევე დასრულდა, რადგან სქესის გამო ის თეატრიდან უარით გამოისტუმრეს. პასუხს ვერ ვცემ რატომ ხდებოდა მუდამ ქალთა უფლებების დაკნინება? რატომ ვერ ბედავდნენ ქალები ხმის ამოღებას თუ მათ ეს ყველაფერი აღიზიანებდათ? ყველაზე სამწუხარო ფაქტი ისაა, რომ ეს ყველაფერი დღემდე გრძელდება. ეს არის ის, რის გამოც ძირითადად ქალების უმრავლესობა მალავს ძალადობის ფაქტებს, სამწუხაროა, რომ საქართველოში განსაკუთრებით კი სოფლად მცხოვრებ მოსახლეობაში, თითქმის არასოდეს არ ხდება რეაგირება ძალადობრივ ფაქტებთან დაკავშირებით მანამ, სანამ მეზობელი არ ჩათვლის, რომ ოჯახში ძალადობის ფაქტზე რეაგირება უნდა მოახდინოს; რომ მშობელმა შვილს ბავშვობიდანვე ასწავლოს ჰუმანურობა, რომ ქალზე ძალადობა ნათესავის საქმე არ არის და ეს მხოლოდ წყვილის საქმეა, სამწუხაროდ ვერ გავალთ იმ შედეგზე, რა შედეგზე გასვლაც გვსურს.

მოქალაქეებს რომ გვქონდეს უფრო მეტი სამოქალაქო პასუხისმგებლობის გრძნობა, დღეს ამ შედეგის წინაშე არ ვიქნებოდით. სამწუხაროა ის ფაქტი, რომ მოსახლეობა მოძალადე ადამიანს ამართლებს და უფრო მეტ სტიმულს აძლევს დანაშაულის ჩასადენად. არსებობს კატეგორია ქალების, რომლებიც ძალადობას გამართლებულად თვლიან და ამბობენ, რომ გარკვეულ შემთხვევებში ძალადობა საჭიროც კი არის, მაგალითად, თუ ცოლი ქმარს უღალატებს ქალის ცემა გამართლებულია, მაგრამ თუ ეს მამაკაცის მხრიდან ხდება ამაზე საზოგადოება არაფერს ამბობს.

თავად ქალებიც კი ეგუებიან ამ ფაქტს და ეს ყოველივე სწორი და გამართლებული ჰგონიათ. რაც არ უნდა ვისაუბროთ ამ საკითხზე საბოლოოდ მაინც ცნობიერების პრობლემამდე მივდივართ. მიუხედავად იმისა, რომ უამრავი სტატია თუ ვიდეო რგოლი იწერება ამ საკითხთან დაკავშირებით, შედეგი მაინც დაბალია. სამწუხაროდ, დღეს ქალები ისევ არიან ძალადობის მსხვერპლები, დედა ისევ მალავს რომ მის შვილზე იძალადეს, რათა მეზობლებმა ამ თემაზე არ ისაუბრონ. მეზობელი ისევ თვალს არიდებს ძალადობის ფაქტს, ქუჩაში მოძალადე ადამიანს გვერდს უვლიან და რეაგირება თითქმის არ ხდება. ძალიან რთულია ვისაუბროთ ამ თემაზე ემოციების გარეშე,რადგან ეს უშუალოდ ჩვენ, ქალებს გვეხება. ჩემი აზრით, მხოლოდ ერთმანეთის გვერდით დგომითა და პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობით შევამცირებთ ძალადობის ფაქტებს და ყველა მოძალადე კანონის წინაშე სათანადოდ აგებს პასუხს. სწორედ ამ რეაგირების შიში უნდა გახდეს პოტენციური მოძალადის მუდმივი საფიქრალი, მაშინ როცა რაიმე ფორმით, ქალის უფლებების შელახვას გადაწყვეტს.

ლიკა ომაძე
სოფელი ფხვენისი

„გაუწიეთ მოზარდ-ახალგაზრდებს კეთილგანწყობილი სამედიცინო მომსახურება“

„კლინიკაში ცუდი მდგომარეობა იყო, კონსულტაციის დროს ექიმის კაბინეტში უცხო ადამიანები შემოდიოდნენ, რაღაცას ეტყოდნენ, რაღაცას აიღებდნენ, გადიოდნენ. არანაირი ანონიმურობის განცდა არ იყო“. – ამბობს 26 წლის მარიამი, თბილისიდან.

„მენსტრუალური ტკივილების გამო გინეკოლოგთან რომ მივედი პირველი მკითხა გათხოვილი ვიყავი თუ არა, კონსულტაციის ბოლოს მეუბნება ერთადერთი შვილო შენ რაც გიშველის გათხოვებაა. რეგიონში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი გინეკოლოგია, მას მერე მასთან აღარ მივსულვარ“ – 22 წლის გოგონა, გორიდან.

კონფიდენციალურობის დაცვის გარანტია, ემპათიისა და მხარდაჭერის გრძნობა ექიმის პროფესიონალიზმის ერთ-ერთი ყველაზე ღირებული და მნიშვნელოვანი გამოხატულებაა.

ასოციაცია „HERA XXI“ ხშირად მართავს შეხვედრებს რეგიონებში სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების მიმართულებით მოზარდ-ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლების მიზნით. ერთ-ერთი ასეთი შეხვედრისას ახალგაზრდა გოგონამ ისაუბრა იმ ბარიერების შესახებ, რომელსაც სამედიცინო სერვისის მიმწოდებლებთან ურთიერთობისას აწყდებიან: ექიმის არამეგობრული დამოკიდებულება პაციენტის მიმართ, ემპათიის ნაკლებობა, სერვისის მიმღების კონფიდენციალობის დარღვევა.

ასოციაცია „HERA XXI“ – მა საქმიანობის პერიოდში არაერთი კვლევა ჩაატარა, როგორიცაა მაგალითად „ახალგაზრდებში სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისების ხელმისაწვდომობა“ – შედეგებმა აჩვენა, რომ ეს პრობლემა მხოლოდ ერთ რეგიონში არ დგას და ტენდენციადაა ქცეული.

ნაცნობ ექიმთან მოხვედრის და კონფიდენციალურობის დარღვევის შიში განსაკუთრებით რეგიონში მცხოვრებ ახალგაზრდებს აქვთ. მათი თქმით, მაღალია იმის რისკი, რომ ექიმმა მათ შესახებ ინფორმაცია მესამე პირს გაუზიაროს. გარდა ამისა, ხშირად ექიმები კონსულტაციისას კარს არ კეტავენ, სხვადასხვა პიროვნებები შედიან მის კაბინეტში, ასეთ გარემოში კი ფიზიკურად შეუძლებელია კონფიდენციალურობის დაცვა, სწორედ ასეთი შემთხვევების შემდეგად პაციენტი კარგავს ნდობას, როგორც კონკრეტული ექიმის, ისე სხვა სამედიცინო სერვისის მიმწოდებლების მიმართ.

ანი ჯაბახიძე
„HERA XXI“-ის
ახალგაზრდული მუშაკი

ადამიანები დღითიდღე ვიზრდებით, ვვითარდებით, უამრავ ახალ ინფორმაციას ვიღებთ, რადგან სამყარო, სადაც ვცხოვრობთ, ისეთი მრავალფეროვანია და შესაძლებლობებით სავსე, რომ შეუძლებელია ამ გარემოს გვერდი ავუაროთ.ეს გამოწვეულია ტექნოლოგეების სწრაფად განვითარებით მართალია ტექნოლოგიებს, როგორც დადებითი ისე უარყოფითი ფაქტორები გააჩნია, მაგრამ სხვა დროსთან შედარებით, ახლა უფრო მეტი განვითარების და სწავლის შესაძლებლობა მოგვეცა. ადრე როცა უამრავი რესურსის დახარჯვა გვჭირდებოდა რაიმეს შესწავლის პროცესში, ახლა შესაძლებელია სახლიდან გაუსვლელადაც კი დავეუფლოთ სხვასხვა ტექნიკებს ან პროფესიას, სამწუხარო კი ის არის, რომ ნაადრევად ადამიანები საკუთრი თავის ან მესამე პირის ინიციატივით კარგავენ ამ შანსს.

სწორედ აქედან გამომდინარე მინდა ვისაუბრო ნაადრევი ქორწინების შესახებ, თუ რა რისკის შემცველია ეს ყოველივე და თვითონ ახალგაზრდების ცხოვრებაში როგორ უარყოფითად მოქმედებს, იმის კითხვა, თუ რას ნიშნავს ნაადრევი ქორწინება? ეს არის ოფიციალური, ან არაოფიციალური კავშირი ორი ადამიანისა, რომელთაგან ერთ-ერთი მაინც 18 წლის ასაკს მიუღწეველია, ანუ ბავშვია.

„ხალხის აზრს" შეწირული ქალების მომავალი

თუ გავიხსენებთ ადრინდელ სხვადასხვა შემთხვევას ქალებზე, რომელიც საკმაოდ მტკივნეულ ისტორიებს ასახავს, მოტაცებას უკავშირდება. ქალებს იტაცებდნენ სკოლიდან, ქუჩიდან და ისეთ პიროვნებებზე უწევდათ ქორწინება, რომელთაც არც იცნობდნენ, უკან დაბრუნების ინიციატივა და სურვილი კი ჰქონდათ, მაგრამ ფიქრობდნენ თუ „რას იტყოდა ხალხი". მაგალითად, 2013 წლის კვლევების თანახმად საქართველო მე-2 ადგილს იკავებდა მოლდოვას შემდეგ, გოგონათა ნაადრევი გათხოვების ჭრილში. მას მოსდევდა ტაჯიკეთი და თურქეთი. როგორც აღმოჩნდა 20-დან 24-წლამდე ასაკის გოგონების 19 % არასრულწლოვნობის ასაკში იყო დაქორწინებულნი.

დღესაც არანაკლებ აქტუალურია მოზარდების ქორწინება, მაგრამ დროთა განმავლობაში უფრო გამკაცრდა კანონი და 2017 წელს სამოქალაქო კოდექსში აღინიშნა, რომ 18 წლამდე ასაკს მიუღწეველ პირთა ქორწინება დაუშვებელია.

თუმცა, სამწუხაროდ სტატისტიკურ მონაცემებს რომ გადავხედოთ შევხვდებით ისეთ ფაქტებს, როცა ისევ გრძელდება ნაადრევი ქორწინების შემთხვევები. სახალხო დამცველის გასული წლის ანგარიშის მიხედვით, ბავშვზე ზრუნვის სააგენტომ 2020 წელს ადრეულ ასაკში ქორწინების 131 შემთხვევა შეისწავლა, ხოლო შსს-მ სავარაუდო დანაშაულის 132 ფაქტზე დაიწყო გამოძიება, რომლის მოტივი ბავშვთან ქორწინება იყო.

სისხლის სამართლის კოდექსის 140-ე მუხლის მიხედვით კი სექსუალური ხასიათის კავშირი 16 წლამდე ასაკის არასრულწლოვნის მიმართ, ისჯება კანონით შვიდიდან – ცხრა წლამდე თვისუფლების აღკვეთით.

როგორც ასეთი მოზარდებს არ აქვთ ცნობიერება აღნიშნული საკითხების მიმართ, რომელიც ზემოთ აღვნიშნე, თუ რა სამართლებრივი ნორმები მოქმედებს ამ საკითხის ირგვლივ, ასევე არ იციან საკუთრი უფლებების შესახებ, რომელიც კონსტიტუციის მეორე თავშია აღნიშნული. უმეტეს შემთვევაში ისინი ამ ნაბიჯს გაუცნობიერებლად დგამენ და მომავალში რა რისკის წინაშე შეიძლება დადგნენ, ამის შესახებ არ აქვთ წარმოდგენა, ამ თემის ირგვლივ არც სკოლაში არ საუბრობენ, რომ მიიღონ შესაბამისი ცოდნა და გააზრებული ჰქონდეთ ის შედეგები, რაც შეიძლება მოჰყვეს ამ ქმედებას.

აქედან გამომდინარე ვფიქრობ, რომ ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელსაც ადამიანი იღებს ცხოვრების ნებისმიერ ეტაპზე, უნდა იყოს გააზრებული, რადგან თვითონ წყვეტს თავის ცხოვრებას და არავის აქვს უფლება ჩაერიოს პიროვნების პირად ცხოვრებაში. ასეთი ჩარევები სამწუხაროდ ხშირია ხოლმე, როგორც პირდაპირ, ისე ირიბად მესამე პირების მიერ, რადგან ჩვენი ცხოვრების სცენარისტებიც და მთავარი პერსონაჟებიც ჩვენ ვართ. თითოეული მოქმედება კი ჩვენს ხელშია და ამით განისაზღვრება ჩვენი მომავალი.

მარიამ გაბლიშვილი

„რამდენიმე თვის წინ, facebook-ზე უფროსმა მამაკაცმა მომწერა სექსუალური ხასიათის შეტყობინება, პირველად პასუხი რომ დავუბრუნე შემდეგ იმით მაშინებდა, რომ ჩემს მშობლებს ეტყოდა, რამდენი ხანია ვფიქრობ და ვერ ვხვდები მაინცდამაინც ჩემთან რატომ გაუჩნდა ურთიერთობის სურვილი, არასწორად ვიქცეოდი?, რამე არასწორად გავაკეთე?" – 14 წლის გოგონა, გორიდან.

„მეც მქონდა მსგავსი შემთხვევა, ჩემი ფოტოების გაგზავნას მთხოვდა, დედას ვუთხარი და პოლიციაში ვუჩივლეთ. თავს იმართლებდა ვითომ ფიტნეს ინსტრუქტორი იყო და შესაბამისი კვების რაციონისა და სავარჯიშო პროგრამის შედგენისთვის მთხოვდა ფოტოების გაგზავნას", – 16 წლის გოგონა წეროვანიდან.

2021 წელს ასოციაცია „HERA XXI"-ს მიერ ჩატარებულმა გამოკითხვამ ახალგაზრდებში აჩვენა, რომ მიუხედავად წინ გადადგმული ნაბიჯებისა, რეპროდუქციული ჯანმრთელობის, გენდერზე დაფუძნებული ძალადობისა და უსაფრთხო სივრცის შესახებ ინფორმაცია მწირია და დგას ცნობიერების ასამაღლებელი საქმიანობის დაგეგმვისა და განხორციელების საჭიროება. ამ მიზნით, ასოციაცია ხშირად მართავს შეხვედრებს რეგიონებში მოზარდ-ახალგაზრდების თვითშეგნების ამაღლებისთვის, ჯანსაღი ცხოვრების წესთან და ქცევასთან დაკავშირებით.

სოციალური ქსელები და გამოწვევების წინაშე დამდგარი მოზარდ-ახალგაზრდები

სწორედ ასეთი ღონისძიებებისას გვიზიარებენ მოზარდ-ახალაგზრდები თავიაანთ პირად ისტორიებს. შეხვედრებზე მოზარდები და ახალგაზრდები აღნიშნავენ, რომ თავს თავისუფლად გრძნობენ, უპრობლემოდ გვესაუბრებიან პირად თემებზე, ეს კი იმ სტიგმისგან თავისუფალი, ღია და სანდო გარემოს დამსაახურებაა, რომელსაც ჩვენი შეხვედრებისას ვუქმნით მონაწლეებს.ისინი გვენდობიან და ჩვენში იმ უფროს ადამიანებს ხედავენ, ვისთანაც თავს უსაფრთხოდ გრძნობენ.

XXI საუკუნეში მოზარდ-ახალაგზრდების უმეტესობა დროის დიდ ნაწილს სოციალურ ქსელებში ატარებს. მართალია, ინტერნეტი და სხვადასხვა სოციალური არხები გვიმარტივებს ცხოვრებას, უმოკლეს დროში შესაძლებელია დაუკავშირდე ადამიანს მსოფლიოს ერთი ბოლოდან მეორეში, მოიძიო შენთვის სასურველი ინფორმაცია ნებისმიერ თემაზე, მიიღო განათლება, თუმცა ამ პროცესს თან ახლავს უდიდესი საფრთხე, როგორიცაა კიბერ-ბულინგი, პირადი მონაცემების გაჟონვის საშიშროება, სექსუალური ხასიათის შეტყობინებები. სამწუხაროდ, მოზარდ-ახალგაზრდები აღნიშნულ საკითხებზე ვერ ესაუბრებიან მშობლებსა და მასწავლებლებს. არ იციან რას გულისხმობს და როგორ დაიცვან პირადი სივრცე, სკოლებში არ არის ინტეგრირებული სექსუალური განათლება, რომელიც ინტერპერსონალური კომუნიკაციის საშუალება იძლევა მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შორის.

თუ ფიქრობთ, რომ თქვენი უფლებები ირღვევა დაგვიკავშირდით, ცხელი ხაზის ნომერზე და მიიღეთ იურისტის უფასო კონსულტაცია, კონფიდენციალურად-032 20 11 221

ანი ჯაბახიძე

ასოციაცია „HERA XXI"-ის
ახალგაზრდული მუშაკი



„დედები, ხშირად თავს დამნაშავედ გრძნობენ, რომ შვილებთან ურთიერთობის დრო არ რჩებათ – ეს უნდა გამოსწორდეს“

დედები, რომლებიც არიან ძალიან დაკავებულები, მათ აქვთ ძალიან დიდი დანაშაულის განცდა, იმის გამო, რომ სათანადო დროს ვერ ატარებენ შვილთან. ამ დროს მნიშვნელოვნია, ურთიერთობისას, რამდენად ჩართულები არიან ბავშვთან ერთად თუნდაც თამაშში ემოციურად და ა.შ. უნდა ეკითხებოდნენ ბავშვს, როგორ გაატარეს დრო, მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ფიზიკურად ერთად გატარებული დრო, არამედ მთავრია რა ხარისხის ჩართულობა აქვს დედას ბავშვთან მიმართებაში. ასევე, ვურჩევდი მშობლებს საკუთარი დანაშაულის გრძნობაზეც იმუშაონ, რადგან ძალიან მაგრები არიან. ამდენ რამეს, რომ აგვარებენ, ზრუნავენ სახლზე, შვილებზე, მოკლედ შეაქონ უფრო მეტად საკუთარი თავი.

ასევე ვურჩევდი მშობლებს, რომ ბავშვმა იცოდეს, ის ჩვენთან არის უსაფრთხოდ და ის უპირობოდ უყვართ და ეს არ არის დამოკიდებული იმაზე, მიღებენ თუ არა კარგ ნიშანს. ბავშვს უნდა მივცეთ სივრცე, რომ გარშემო გამოიკვლიოს გარემო, გავუღვივოთ ავტონომიურობა, ეს ცნობისმოყვარეობა და ავტონომიურობა გაღვივდება მაშინ, თუ ბავშვმა იცის, რომ ჩვენთან დაცულია და მას გარკვეული პასუხისმგებლობები გააჩნია, ასაკის შესაფერისი პასუხისმგებლობები, მაგალითად: სამი წლის ბავშვს უნდა შეეძლოს თავადვე დაგდებული სათამაშოს აღება, ხოლო მესამე ან მეხუთე კლასელი ბავშვი უნდა აწესრიგებდეს საკუთრ ოთახს.

მნიშვნელოვანია, რომ მშობლებს არ დაავიწყდეთ სხვა გასაკეთებელ საქმეებთან ერთად, ბავშვებთან ურთიერთობებიც რომ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

ლელა ცისკარიშვილი

15 წელში, ცხინვალთან ახლოს, ომგამოვლილმა ქალებმა ბაღ-ვენახების აყვავება შეძელით

აგვისტოს ომის შემდეგ, სოფლად დაბრუნებულ მოსახლეობას სახლები გადამწვარი, ნაკვეთები გადამხმარი და ყველაფერი განადგურებული დაგვხვდა. ჩემი სოფელიც რამდენიმე კილომეტრითაა დაშორებული ცხინვალთან და მუდმივად შიშის ქვეშ გვიწევს ცხოვრება.

მიუხედავად რთული მდგომარეობისა, მოვახერხეთ და შევძელით, რომ ამ 15 წელში, ყველაფერი ახლიდან დაგვეწყო და საკუთარი მოსავალი წლიდან-წლამდე გაგვეუმჯობესებინა.

2008 წლის 7 აგვისტოს რუსეთის ჯარი უკვე ჩვენი სოფლის სიახლოვეს იყო. ტყვიავიდან გვესმოდა აფეთქებები, მკვლელობები, მშვიდობიან მოსახლეობას სახლებს უწვავდნენ, რის შემდეგაც გავიქეცით თბილისში და დროებით, 21-ე სკოლის შენობას შევაფარეთ თავი.

დაბრუნებისას ყველაფერი გაცამტვერებული დაგვხვდა, მაგრამ ახლიდან ცხოვრება დავიწყეთ. ბავშვობისას იურისტობაზე ვოცნებობდი, მაგრამ მშობლები ადრეულ ასაკში გარდაგვეცვალა და ოთხი და, ნაომარ სოფელში დავრჩით. უფლება არ გვქონდა რამეს შევშინებოდით და მამაპაპისეული მიწა დაგვიწყებოდა. ამიტომ გადავწყვიტეთ, სოფლის მეურნეობაში აქტიურად ჩავრთულიყავით და სხვა ქალების დასაქმების შესაძლებლობაც გვქონოდა. შრომა უკვალოდ არასდროს ჩაივლის და თანდათან გაცამტვერებულ ნაკვეთებზე ხილის, ბოსტნეულის და მარცვლეულის მოყვანა შევძელით.

წელს დაახლოებით 100-მდე ქალი დავასაქმეთ, როგორც სოფლებიდან, ისე გორიდანაც. ახლა უკვე ვაშლს და ატამს ვკრეფთ, შემოდის მსხალი, ცოტა ხანში ლობიოსაც ავიღებთ.

სოფლად ქალის ცხოვრება რთულია, მაგრამ თუ იშრომებს, ოჯახის გამოკვება არ გაუჭირდება. აპრილიდან გვიან შემოდგომამდე, ჩვენი სამუშაო დღე 09:00 საათიდან იწყება და 18:00 საათამდე გრძელდება. ზოგჯერ გაუსაძლისია პაპანაქება სიცხეში მუშაობა, მაგრამ ყველას კარგად გვესმის, რომ უშრომელად არაფერი მოდის. დღიურად დაახლოებით 45-50 ლარს გამოვიმუშავებთ. თუ წვიმიანი ამინდია, მხოლოდ მაშინაა ჩვენთვის დასვენების დღე. ხშირად გვესმის, რომ სამუშაო ადგილები არ არის, გოგოები/ქალები ვერ საქმდებიან, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ დროს, ასეთ რთულ პირობებში შუახნის ქალებთან ერთად, 18-19 წლის გოგოებიც კი არ თაკილობენ ნაკვეთებში მუშაობას და ოჯახში მცირე შემოსავლის შესატანად თავებს არ ზოგავენ, ყოველდღიურ რეჟიმში მაქსიმალურად იხარჯებიან. რეგიონის ქალაქებიდანაც ჩამოდიან და სოფლად მცხოვრებ ქალებთან ერთად შრომობენ. იმისთვის, რომ სამუშაო და შემოსავალი გვქონდეს, უმაღლესი განათლების მიღება არაა აუცილებელი.

ქალების გარკვეული კატეგორია ზის სახლში და ფინანსურად სხვებზეა დამოკიდებული, რაც არასწორია. თუ ქალს ჯანმრთელობის მდგომარეობა ხელს უწყობს, შრომაში სათაკილო არაფერია. 22 წელი ქარხანაში ვმუშაობდი, მაგრამ ახლა სხვა რეალობა გვაქვს. მივდევ სოფლის მეურნეობას და შემოსავლის წყაროს ამ სფეროში, სხვა ქალებსაც ვუქმნი.

თეა რაზმაძე
გორის მუნიციპალიტეტის
სოფელი მარანა

„ომის შემდეგ ყველაფერი ნულიდან დავიწყე და ცხოვრებას დევნილობაში, მომავლის იმედით ვაგრძელებ“

„18 წელი სულ სროლები იყო ჩვენს ხეობაში, ამიტომ დაძაბულ სიტუაციას შეჩვეულები ვიყავით. იმ ღამეს გარეთ ვისხედით და ლობიოს ვარჩევდით. მოულოდნელად, ეზოში ჭურვი ჩამოვარდა და ისეთი ხმა ჰქონდა, 3 კვირა სმენა დამიქვეითდა“. – იხსენებს როზა ხაბალოვი. ომამდე 35 წელი ის ქირურგიულ განყოფილებაში მუშაობდა:

„მნიშვნელობა არ ჰქონდა, სამკურნალოდ ოსი მოვიდოდა თუ ქართველი. ყველას ვემსახურებოდით“.

8 აგვისტოს ფეხით წამოვიდნენ, თავიდან საგარეჯოში ცხოვრობდნენ.

როზა ხაბალოვი-მზარეულიშვილი 2013 წლიდან გორში, სკრის დევნილთა დასახლებაში, ოჯახის წევრებთან ერთად ცხოვრობს.

და-ძმა ცხინვალში ჰყავს: „ტელეფონით ვეკონტაქტები ხოლმე. ძალიან მენატრებიან. დედა იქ გარდაიცვალა და მის საფლავზეც არ ვყოფილვარ“.

დაბრუნებაზე ხშირად ფიქრობს, მაგრამ ამის გზებს ვერ პოულობს.

„ქართველების და ოსების შერიგებაო... როგორ შერიგდებიან, თუ ჩვენ შორის მისვლა-მოსვლა არ იქნება. შუა ღამისას რომ მითხრან, დაბრუნება შეგიძლიაო, არც დავფიქრდები, ავდგები და ფეხით წავალ“.

15 წლის განმავლობაში მის ცხოვრებაში ბევრი რამ შეიცვალა, ამბობს, რომ ყველაფერი თავიდან დაიწყო, თუმცა ცხოვრებისეულ სირთულეებს მაინც არ შეუშინდა.

„ომამდე ვცხოვრობდი დიდი ლიახვის ხეობის სოფელ ხეითში, მთელი ცხოვრება ამ სოფელში გავატარე. ვმუშაობდი ცხინვალის საავადმყოფოში. მყავდა მეგობრები, რომელიც ეროვნების მიხედვით არასოდეს გამირჩევია. 2008 წლის ომის შემდეგ ოჯახი, დაგვასახლეს სკრის დევნილთა დასახლებაში, ცხოვრება ნულიდან დავიწყე, ყველაფერი ნელ-ნელა შევიძინე საოჯახო ნივთები, აგრეთვე გავაშენე ჩემ კუთვნილ ნაკვეთში ვაზი, დავრგე ბალი, ქლიავი, კაკალი. მომყავს მწვანილი, ყოველდღე მიწევს ბაღში მუშაობა, ბოსტნეულის მოსაყვანად ზამთრისთვის, ვარ პენსიონერი და პენსია არ მყოფნის წამლებში. ვცდილობ მოსავალი მაინც მოვიყვანო რომ ვიარსებო. მინდა საქართველოში იყოს ბევრი ქარხანა, ფაბრიკები, სამუშაო ადგილები და ახალგაზრდები იყვნენ დასაქმებულები. ჰქონდეთ მაღალი ანაზღაურება, და არ მიდიოდნენ საზღვარგარეთ სამუშაოდ, არ შორდებოდნენ დედები შვილებს და შვილები დედებს, მინდა ყველა ადამიანი კარგად ცხოვრობდეს და იყოს მშვიდობა მთელ მსოფლიოში“, – ამბობს როზა ხაბალოვი-მზარეულიშვილი.

ნინო ჩიბჩიური

2008 წლის აგვისტოში დედა არ გამოგვყვა სოფლიდან და ერთი თვის შემდეგ უკან შევბრუნდი მის მოსაძებნად..

2008 წლის 8 აგვისტომდე ცხინვალის რაიონის სოფელ ქემერტში ოჯახთან ერთად ვცხოვრობდი. ომამდე ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ საქმე აქამდე მივიდოდა, მე კი ყველაფრის დატოვება მომიწევდა.

ჩვენი სოფელი ქალაქ ცხინვალთან ძალიან ახლოსაა, სულ რამდენიმე კილომეტრითაა დაშორებული. წინა დღეებში ჯერ ცხინვალში გვესმოდა სროლა. 6 აგვისტოს ღამეს განათებული იყო ცხინვალის ცა. ისინი ამბობდნენ, ქართული მხარე ისროდაო. ქართული სოფლებიდან ცხინვალში ვერ შევდიოდით მაშინაც, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ოსებს ცხინვალის გზა ჩაკეტილი ჰქონდათ ჩვენთვის.

ქართულ სოფლებში რუსები 7-ში და 8-ში შემოვიდნენ და დაიწყეს მასობრივი დაბომბვა. 8-ში უკვე იძულებული გავხდით ყველაფერი დაგვეტოვებინა და მეზობლის მანქანით თბილისისკენ გამოვქცეულიყავით. 75 წლის დედაჩემი სახლში მარტო დარჩა იმ იმედით, რომ მალევე უკან დავბრუნდებოდი და მასაც წამოვიყვანდი.

უკვე გზაში ვიყავით, როცა ჩვენ მანქანას სნაიპერებმა ესროლეს. რაღაც ადგილზე გავჩერდით და დავიმალეთ. სროლა როგორც კი შეწყდა, სიარული გავაგრძელეთ. გზად „ნივა“ ვნახეთ, იდგა, შიგნით დახოცილი ადამიანებით.

საგუშაგოებთან ქართველი პოლიციელები იდგნენ, ხელში მხოლოდ ავტომატები ეკავათ, ეს მაშინ, როცა რუსებს ყველანაირი საბრძოლო ტექნიკა ჰქონდათ. არ დამავიწყდება ამ პოლიციელების სახეები, შემეცოდნენ.

მთელი ჩვენი სოფელი გამოიქცა, მხოლოდ მოხუცები დარჩნენ. ის ოსებიც წამოვიდნენ აქეთ, ვინც თავს ქართველად მიიჩნევდა. საერთოდ, ჩვენთან რთული იყო გაგერჩია, ვინ იყო ოსი და ვინ ქართველი. ამიტომაც ჩვენ შორის ასეთი რამე არ უნდა მომხდარიყო.

როცა თბილისში ჩამოვედით, მუხიანში, სკოლაში მიგვყვანეს. 8 აგვისტოდან 3 დეკემბრამდე იქ ვცხოვრობდით. მერე უკვე აქ, კოტეჯებში გაგვანაწილეს.

თბილისში ჩამოსვლიდან პირველი ორი კვირა ყოველდღე ვცდილობდი უკან გადასვლას და დედაჩემი წამოყვანას. „წითელ ჯვარშიც“ განვაცხადე, რომ იქ მოხუცი დედა დარჩა და ვეღარ გავდივართ კონტაქტზე. ცალკე ჩემი და-ძმა ეძებდა, ისინი ვლადიკავკაზსში ცხოვრობდნენ.

უკვე 10 სექტემბერს ჩემმა ძმამ მოახერხა ვლადიკავკაზიდან იქ ჩასვლა და აქედან, როგორც იქნა, მეც შევძელი წასვლა. ჩემი ძმა საგუშაგოსთან უნდა დამხვედროდა. ისე მოხდა, რომ აზერბაიჯანელებს თბილისიდან ცხინვალში გასაყიდად მწვანილი მიჰქონდათ სამარშრუტო ტაქსით. მეც მათთან ერთად წავედი. თან მეშინოდა, არავის ვეცნე.

ჩემი ძმა დამხვდა, ავედით სოფელში. ვერ წარმოიდგენთ, რა დაგვხვდა. რუსებს მიწასთან გაესწორებინათ იქაურობა. ყველაფერი გაძარცვული იყო. ყველგან საქონლის ლეში ეყარა. სადღაც რუსების შტაბიც იყო. ცალკე მოროდიორები დადიოდნენ.

სახლში სამი ძაღლი მყავდა. ორი ცოცხალი იყო ჯერ კიდევ. როცა ძაღლებმა დამინახეს, წარმოუდგენელი რეაქცია ჰქონდათ სიხარულის... სახლიდან სამახსოვროდ ერთი ფინჯანი და ჩანგალი წამოვიღე.

დედა სახლში არ დაგვხვდა. ცხინვალში უკვე ქართველი ტყვეები ჩამოჰყავდათ და ამიტომაც იმ დღესვე ცხინვალში ადგილობრივ „წითელ ჯვარში“ განვაცხადეთ დედის დაკარგვის შესახებ. როცა ცხინვალიდან თბილისისკენ ვბრუნდებოდი, საგუშაგოზე უკვე აღარ მიშვებდნენ ოსები. მოვიტყუე, რომ დედაჩემი გორში წაიყვანეს ტყვედ და წამოყვანა მინდა-მეთქი. მერე სამხედროების მანქანას გამოვყევი. გზაში ვუყურებდი გადამწვარ სოფლებს – ერგნეთს, ტირძნისს. სამხედროების მანქანა მალე გაფუჭდა და სამი კილომეტრი ფეხით ვიარე.

უკვე თბილისში ყოფნის დროს „წითელმა ჯვარმა“ დამირეკა, რომ დედა იპოვეს. თურმე მეხსიერება ჰქონია დაკარგული და ვერ გაიხსენა, ვინ იყო. შიშველი უპოვიათ ბაღში, საიდანაც აიყვანეს და მერე, სარდაფში ვიღაც უვლიდა მას. მოგვიანებით, ჩემმა დამ და ძმამ წაიყვანეს ვლადიკავკაზში. რამდენიმე წლის შემდეგ გარდაიცვალა, თუმცა მე ვეღარ მოვასწარი მისი ნახვა. საფლავიც კი არ მინახავს.

მე ზიზღი არ მაქვს დღეს ვინმეს მიმართ. მჯერა, რომ ხალხი ერთმანეთთან რომ მიუშვან, შერიგდებიან. ლაპარაკია საჭირო, ამის გარეშე წარმოუდგენელია ურთიერთობები. როცა ჩემი შვილი ცხინვალში დაპატიმრებული იყო და დაბრუნდა, ამბობდა, რომ ასაკოვანი ხალხი მის მიმართ კეთილგანწყობილი იყო. აი, ახალგაზრდებს კი უკვე ერთმანეთის ზიზღი აქვთ.

ომში მოგებული არავინაა.

ნათელა-გალინა ქელეხსაევა,
შავშვების დევნილთა დასახლება

„პროექტი აგვისტოს ბოლოს სრულდება და შედეგები უკვე სახეზე გვაქვს“

„ქართული მედია ჯგუფის“ პროექტი დასასრულს უახლოვდება. ორგანიზაციის მიერ გადამზადებული ქალები, რომლებიც შიდა ქართლის ოთხივე მუნიციპალიტეტში მოქმედ მედიასაშულებებს აკვირდებიან, საინტერესო ანგარიშსს მოგვიმზადებენ. მანამდე კი მონიტორინგის შედგებზე ყოველთვიურად გადაცემაში „ქალის ხმა“ ვსაუბრობთ.

წინასწარი დაკვირვებით, მედიასაშუალებებში კაცების ხმა უფრო მეტად ისმის, ვიდრე ქალების. კვლევის ავტორების თქმით დისბალანსია ქალსა და კაც რესპონდენტებს შორის, ეს კი მკაფიოდ ჩანს პოლიტიკურ საკითხებზე მომზადებულ მასალებში.

გარდა მედიასაშულებებისა, მონიტორინგი ხორციელდება გენდერულ საბჭოებთან დაკავშირებითაც, სადაც დაკვირების პერიოდში მთელი რიგი დარღვევები გამოიკვეთა, რაც გულისხმობს იმას, რომ საბჭოების სხდომა თითქმის არ ტარდება ან თუ ტარდება ამის შესახებ საზოგადოება ინფორმირებული არ არის. გარდა ამისა, ქალებმა არ იციან თუ რა სერვისებით სარგებლობა შეუძლიათ.

პროექტი სრულდება და შემიძლია ვთქვა, რომ შედეგი უკვე სახეზეა – გენდერული საბჭოების სხდომა ჩვენი მონიტორინგის შემდეგ ოთხივე მუნიციპალიტეტში ჩაინიშნა, გარდა ამისა მათ დაგეგმეს სხვადასხვა აქტივობებიც. რაც შეეხება მედიასაშუალებებს გასული თვეებისგან, განსხვავებით მეტი დრო ეთმობა გენდერული საკითხების გაშუქებას, რაც ვთვლი, რომ ასევე მონიტორინგის შედეგია. ამასთან ერთად, რეგიონის მასშტაბით, ჩვენ გყვავს უკვე 10 გადამზადებული ქალი, რომლებიც პროექტის დასრულების შემდეგაც დააკვირდებიან საბჭოების მუშაობას და სხდომებსაც დაესწრებიან. მათ უკვე დაიწყეს სხვა ქალებისთვის ცოდნის გაზიარება. ჩვენ შევაჯამებთ მონიტორინგის შედეგებს აგვისტოს ბოლოს და ვრცელ ანგარიშს წარვუდგენთ საზოგადოებას. ასევე მოვამზადებთ სარეკომენდაციო ხასიათის წერილს, რომელესაც გენდერულ საბჭოებს გავუგზავნით.

აქვე სასიხარულოა ისიც, რომ გორში, გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრად „ქართულმა მედია ჯგუფმა“ კანდიდატი სწორედ პროექტის მონაწილე ქალებიდან წარადგინა, რაც უფრო ეფექტური მონიტორინგის გაგრძელების საფუძველს იძლევა.

„ქართული მედია ჯგუფი“ – შიდა ქართლში მოქმედ მედიასაშულებებს „ქალთა ფონდის“ მიერ მხარდაჭერილი პროექტის ფარგლებში აკვირდება. მონიტორინგს კი რეგიონის ოთხივე მუნიციპალიტეტიდან წარმოდგენილი სპეციალურად გადამზადებული ჯგუფი ახორციელებს. საბოლოო შედეგებს ორგანიზაცია პროექტის დასკვნით ღონისძიებაზე გააცნობს საზოგადოებას.

ლელა ლობჟანიძე

კასპში „კომლი“ გაიხსნა – ინტერვიუ სოციალური საწარმოს დამფუძნებელთან

ევროკავშირის მხარდაჭერით კასპში სოციალური საწარმო „კომლი“ გაიხსნა. კომლი თანაშექმნის სივრცეა, რომელიც ადგილობრივ მოსახლეობასთან და ვიზიტორებთან ერთად, ცდილობს ცოდნა გაათავისუფლოს აკადემიური ჩარჩოებიდან და არაფორმალური მიდგომებით, თანასწორობის, განათლების ხელმისაწვდომობისა თუ მრავალფეროვნების იდეები ყველასათვის ხელმისაწვდომი გახადოს.

სოციალური საწარმო „კომლი“ შექმნილია ევროკავშირის (European Union in Georgia) დაფინანსებით მიმდინარე პროექტის „სოციალური მეწარმეობის განვითარება მდგრადი და ინკლუზიური საზოგადოებისთვის“ ფარგლებში, რომელსაც საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (CSRDG) პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად ახორციელებს.

უფრო დეტალურად, ამ იდეის და სამომავლო გეგმების შესახებ „კომლის“ დამფუძნებელი, **თეონა დალაქიშვილი** გვესაუბრება:

– თეო, პირველ რიგში იდეის შესახებ რომ გვითხრა, რა იყო „კომლის“ დაარსების საფუძველი და გახსნის ღონისძიებაზე რა წარუდგინეთ საზოგადოებას?

– ყოველთვის გვსურდა გვქონოდა სივრცე, რომელიც ჩვენს ყველა პროექტს და იდეას გააერთიანებდა. მე თვითონ ვარ კასპიდან და ყოველთვის მსურდა ამ ქალაქში ყოფილიყო გარემო, საიდან წასვლაც ადამიანებს არ მოუნდებოდათ. როდესაც გავეცანი სხვადასხვა კვლევას, ვნახე, რომ უმეტესობა მთავარ პრობლემად სივრცის არარსებობას ასახელებდა, აქედან გამომდინარე დაიბადა „კომლის“ იდეა: სივრცე, სადაც შეგიძლია მუშაობა, თანაცხოვრება და თანაშექმნა – ადგილი, საიდანაც დაიწყება ქალაქის გარდაქმნა. „კომლის“ იდეა გაჩნდა 2021 წელს და მაშინ ხელში მცირე თანხა და მიწა გვქონდა, თუმცა მალევე დავიწყეთ კამპანია. ჩვენი მისიაა, თემის განვითარებისთვის მდგრადი დაფინანსების შექმნა. სორედ ამიტომ, „კომლის“ კონცეფცია ეფუძნება სოციალურ მეწარმეობას.

ჩვენ გავხსენით არამხოლოდ სამუშაო სივრცე, არამედ ასევე ახალგაზრდული ჰოსტელი, სოციალური სივრცე, სადაც შეგვიძლია ვუმასპინძლოთ 18 ადამიანს და გავუწიოთ სრული სერვისი: დარჩენა, კვება, ტრენინგი და მენტორინგი. მიღებული შემოსავალი კი სრულად მოხმარდება სათემო პროექტებს და ახალგაზრდების მხარდაჭერას.

– რა მიმართულებით გააგრძელებთ საქმიანობას, ვინ ხართ გუნდში და ა.შ.

– „კომლის“ გუნდი თავიდან სულ 2 ადამიანისგან შედგებოდა და დღეს უკვე 8 ადამიანი ვართ, უმეტესობა აქედან, ცხოვრობს კასპის სხვადასხვა სოფელში და ზუსტად იცნობს ადგილობრივ საჭიროებებს. ჩვენ ორი მიმართულებით ვაგრძელებთ მუშაობას, ეს არის სივრცის განვითარება და სათემო პროგრამების განვითარება, რომელიც მრავალფეროვან შესაძლებლობებს შესთავაზებს თემს, მათი განათლებისა და განვითარებისთვის.

– კასპში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის რა როლი ექნება „კომლს“ და აქამდე რა ძირითადი აქტივობები განახორციელეთ ოფიციალურად გახსნამდე?

– ოფიციალურ გახსნამდე საკმაოდ ბევრი საინტერესო აქტივობა გვქონდა, მოვიცავით კასპის ყველა სოფელი, ჩავატარეთ ბანაკები, დავნერგეთ სათემო მენტორინგი, შევქმენით ახალგაზრდული სივრცეები. „კომლი“ – ეს არის ადგილი, სადაც შეგიძლია შექმნა რაღაც ახალი, განვითარდე, იპოვო საკუთარი თავი – ასე კომლს თავად ახალგაზრდები ახასიათებენ, და ჩვენი მიზანიც სწორედ ეს არის. „კომლი“ ღიაა ყველასთვის და მზად არის მუდმივად გვერდში დაუდგეს ადგილობრივ თემს და ახალგაზრდებს, რათა ერთად დავძლიოთ გამოწვევები. ახლაც ვაორგანიზებთ თანაშექმნის შეხვედრებს, სადაც თემის წევრებთან ერთად განვიხილავთ ქალაქის და მუნიცი-

გაგრძელება მე-8 გვ.-ზე

კასპში „კომლი“ გაიხსნა – ინტერვიუ სოციალური საწარმოს დამფუძნებელთან

დასაწყისი მე-7 გვ.-ზე

პალიტეტის განვითარების შემდგომ სტრატეგიებს.

– რა საჭიროებები გამოიკვეთა ადგილზე ახალგაზრდებთან დაკავშირებით და რა სიახლეები ელოდებათ თქვენი მხრიდან მათ?

– საჭიროება არის უამრავი – კასპი იყო ადგილი, რომელიც ფაქტიურად მოწყვეტილი იყო იმ პროცესებს, რაც მიმდინარეობდა სამოქალაქო საზოგადოებაში.

დღეს კასპელ ახალგაზრდებს აქვთ წვდომა ყველანაირ ინფორმაციაზე, სერვისზე, შესაძლებლობაზე, უფრო მეტიც, მათ თავად შეუძლიათ ახალი იდეების განხორციელება და შესაძლებლობების შექმნა. ჩვენ მუდმივად მათთან ერთად ვიკვლევთ საჭიროებებს და მათთან ერთად ვგეგმავთ შემდგომ ნაბიჯებს. ახლა უკვე გვაქვს სივრცე და გადავდივართ ახალ ეტაპზე, სადაც ხელმისაწვდომს გავხდით ყველა ტიპის ცოდნას, რაც ასე საჭიროა ადგილობრივ დონეზე.

– ქალთა საკითხებს რა დროს უთმობთ და როგორ აპირებთ ადგილობრივი ქალების გაძლიერების ხელშეწყობას?

– ქალთა საკითხები ჩვენი ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. ჩვენ უკვე მეორე წელია ქალებს ვთავაზობთ შემეცნებით შეხვედრებს, ასევე სამედიცინო კონსულტირებას, გადამისამართების სერვისს. გარდა ამისა, დავიწყეთ ახალი კამპანია, რომელიც მენსტრუალურ სიღარიბეს ეხება.

„კომლი“ იქნება პირველი სივრცე, რომელიც სთავაზობს ქალებს და გოგონებს ჰიგიენურ ნივთებს უფასოდ, ეს არის პირველი სამუშაო სივრცე რეგიონში, რომელიც მსგავსი ინიციატივით გამოდის. ახლა კი ვიწყებთ კამპანიას, რომ მეტი სივრცე გახდეს მსგავს ინიციატივაში ჩართული და ქალებს და გოგოებს შესთავაზოს უფასო ჰიგიენური ნივთები, რათა ერთად დავძლიოთ მენსტრუალური სიღარიბე.

– ვის და რა ფორმით შეეძლება „კომლის“ სივრცის გამოყენება და როგორ აპირებს ორგანიზაცია სხვადასხვა ჯგუფების მხარდაჭერას ადგილზე და ზოგადად რეგიონში?

– „კომლი“ ღიაა ყველასთვის, ჩვენი დაორგანიზებული ღონისძიებების გარდა, მისი გამოყენება შეეძლება ყველას, ვინც იზიარებს ჩვენს ღირებულებებს. „კომლი“ სრულიად უფასოა მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებისთვის, ხოლო ჩამოსულ ორგანიზაციებს დაბალფასიან სერვისს შესთავაზებს. ჩვენ მაქსიმალურად ვეცდებით მხარი დავუჭიროთ ადგილობრივი ორგანიზაციების განვითარებას და ადგილობრივი ინიციატივების გაძლიერებას სივრცის და შესაბამისი ცოდნის მიწოდებით.

ესაუბრა **ნინო ჩიბჩიური**

სტერეოტიპების მიუხედავად ვგეგმავ გავყვე ფეხბურთს და გავაგრძელო ჩემი ქვეყნის სახელით საზღვრებს გარეთ ასპარეზობა

ფეხბურთით ბავშვობიდან დაინტერესებული ვარ და პატარაობიდანვე ამ სპორტის მიმართ ვგრძნობ დიდ სიყვარულს. 22 წლის ვარ და ამ დრომდე ყოველთვის ძალიან მინდოდა ფეხბურთი მეთამაშა პროფესიონალურ დონეზე და ეს ოცნებაც ამიხდა, უკვე მეშვიდე წელია ვთამაშობ კლუბში „გორი იუნაიტედი“. გუნდში დაახლოებით 20 გოგო ვართ, მაგრამ დღითიდღე მეტი გოგონა ინტერესდება ამ სპორტით და მეტი ერთვება ამ საქმეში.

სტერეოტიპები ყოველთვის იყო, არის და იქნება, რადგან საზოგადოებას უჭირს აღიქვას ქალი სპორტში. მაგალითად, როგორიცაა ძალისმიერი სპორტი, ფეხბურთი, რაგბი და სხვა. ოჯახიდან თითქმის ყველა უარყოფითად უყურებდა ჩემს ამ გადაწყვეტილებას და არ უნდოდათ ფეხბურთი მეთამაშა. მხარს მხოლოდ მამა მიჭერდა და მისი დახმარებით დღესაც ვაგრძელებ თამაშს, მაგრამ თამაშის დაწყებიდან მალევე რამდენიმე თვეში საქართველოს ნაკრებში გამომიძახეს, ჯერ17 წლამდელთა ნაკრებში და მალევე 19 წლამდელთა ნაკრებში. როცა ეს ჩემმა ოჯახის წევრებმა ნახეს, მეტი მხარდაჭერა ვიგრძენი მათგან. ვგეგმავ ბოლომდე თავი მივუძღვნა ფეხბურთს, სადამდეც საშუალება მექნება ვითამაშებ, შემდეგ კი მწვრთნელობას ვაპირებ. ნაკრებში გამოძახების შემდეგ სინჯებზე დამაკვირდნენ და იმ 18 გოგოში მოვხვდი, ვინც საწრთვნელ შეკრებაზე დარჩებოდა და ამხანაგურ მატჩებში მიიღებდა მონაწილეობას. ამ პირველი შეკრების შემდეგ კარგი შთაბეჭდილება დავტოვე მწვრთნელებზე და მას შემდეგ ყოველთვის მიძახებდნენ, რაც ძალიან დიდ ბედნიერებას იწვევდა ჩემში, რადგან საზღვრებს გარეთ ჩემი ქვეყნის სახელით ვასპარეზობდი.

ნინო ფერაძე

პედაგოგიკა და პარტია

ყველასგან ცნობილია ის პარტიული კინკლაობა და ჟინი, რაც სამწუხაროდ ჩვენში ამ ჟამად არსებობს, ხშირად პარტიული ჯინი პირადობაზე გადადის და გუშინდელი მეგობრები დღეს დაუძინარი მტერნი გამხდარან ერთმანეთის. ეს უცნაური მოვლენაა, მაგრამ ფაქტი ფაქტათ რჩება მაინც: იდეური ბრძოლა – ეს ფრიად დასაფასებელი და ხალხის გონებრივი განვითარების მაჩვენებელი – პირადულ უთანხმოებათ, გამხდარა. ასეთია სავალალოდ დღევანდელი ჩვენი საზოგადეობრივი მდგომარეობა, პარტიულ ნიადაგზე აღმოცენებული, მაგრამ თუ პედაგოგიკაშიც – ამ წმინდათა წმინდა საქმეში – შეიჭრებოდა პარტიული ჟინიანობა – ეს აღარ მეგონა! როდესაც დასავლეთ საქართველოს სახალხო მასწავლებელთა კავშირის გამგეობის..... ევროპის გამოჩენილ პედაგოგებს შემოეხედნათ ქუთაისის თეატრში, იფიქრებდნენ, რომ იქ იყო პარლამენტარული არჩევნები და არა პედაგოგიური. დაღლილ დაქანცული თავმჯდომარე რამდენჯერმე იმეორებს ერთსა და იმავეს: „ბატონებო, კავშირის გამგეობაში არჩეულია ყველა პარტიებიდან: 3 სოციალ-დემოკრატებიდან 3 სოციალისტ-ფედერალისტებიდან, 2მსოციალისტ-რევოლუციონერებიდან და 1 ნაციონალ-დემოკრატებიდან“-ო. ასეთი განცხადების შემდეგ პარტიების წარმომადგენლობის რაოდენობაზე – ატყდება ერთი ყიჟინა და აურ-ზაური. აღარაფერი ესმით ერთი-მეორესი. პარტიული ჟინიანობით გააფთრებულებს აღარავის მოსდით თავში გააკრიტიკონ ის, თუ რამდენად გამოსადეგნი იქმებიან საქმისათვის არჩეული პირები! ბოლოს, ერთი პარტიის წარმომადგენლის გამოკლებით (მ.დ.) დათავდა როგორც იყო არჩევნები! როცა პირველად სახ. მასწ. კავშირი არსებობდა (1915 წ 27 დეკემბ.) გამოცხადებული იყო, რომ ის იქნებოდა უპარტიო. დღეს კი იმდენი აურ-ზაური ატყდა კავშირის გამგეობის პარტიულ არჩევნებზე!

ვერ გამიგია – რა საჭიროა პედაგოგიკაში პარტია! ხომ ვერცერთი ნამდვილი პედაგოგი, რა პარტიისაც არ უნდა იყოს ის, ვერ გადაუხვევს საღ პედაგოგიკურ პრინციპებს! ეს პრინციები კი ახალი პედაგოგიკისა მოითხოვს პიროვნების ყოველმხრივ განვითარებას ნაციონალურ სკოლაში და არა პარტიობას. ჩვენ უნდა ვცთილობდეთ საზოგადოდ ყოველ საქმეში – და კერძოთ პედაგოგიკაში გვყავდეს ნამდვილი საქმის მცონდე ხალხი რომელიც შეძლებენ სრულს გათვიცნობიერებას ბავშვის გონებისას და არა მარტო პარტიული პირები რომელთა პედაგოგიური ნიჭი და ცოდნა გაცნობილი არ არის.საბჭოს ყველა არსებულმა პარტიებმა ჩაუკვირდნენ ამ ნაკლს, და პარტიულს შექიშპებას, ნუ ამსხვერპლებენ ასეთს დიდ საქმეს, როგორიც არის მომავალი თაობის ინტელექტუალური და ინდივიდუალური განვითარება.

ნინო ნადირაძე
1917 წელი, №6

გაზეთი გამოიცემა „ქართული მედია ჯგუფის“ პროექტის („ხმა ქართველი ქალისა“ – ფემინისტური მედია შიდა ქართლში") ფარგლებში, რომელიც მხარდაჭერილია "ქალთა ფონდის" მიერ

ქალთა ფონდი საქართველოში
WOMEN'S FUND IN GEORGIA